

საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

1. საქართველოს მასშტაბით იზრუნოს პარაპლანით ფრენებით პოპულარიზაციაზე და მის განვითარებაზე.
2. საქართველოს მასშტაბით მიიღოს აქტიურ მონაწილეობას პარაპლანით ფრენებით აქტივობაში, ასწავლოს პარაპლანის მართვა და მოამზადოს ახალი პილოტები, გასცეს შესაბამის ლიცენზიები და სერთიფიკატები კომპეტენტურ კომისიის წევრებთან ერთად; მოიძიოს პარაპლანით საფრენი ადგილები საქართველოს მასშტაბით, მოაწყოს სხვადასხვა შეჯიბრებები და აქტივობები სპორტის ამ მიმართულებით.
3. იზრუნოს საქართველოს ტურისტულ ზონებში ადგილობრივი პილოტი-ინსტრუქტორების ტურიზმის ჩართვაში, ტურიზმიდან სწორი კომერციული სარგებლის მიღებასა და მისი სრულფასოვან ბიზნესად განვითარებისთვის დახმარებაზე;
4. იზრუნოს პილოტების უსაფრთხოებაზე და ხელი შეუწყოს საქართველოს მასშტაბით პილოტი-ინსტრუქტორების უსაფრთხოების მოწესრიგებაზე;
5. ითანამშრომლოს საქართველოს სხვადასხვა ტურისტულ კომპანიებთან და სპორტულ ფედერაციებთან სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების მიზნით;
6. პარაპლანით დაინტერესებული საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა ჩართოს საფრენი ადგილების მოძიებაში, მის ათვისებასა და მოწესრიგებაში.
7. საქართველოს მასშტაბით პარაპლანის პილოტები ჩართოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა სახის ტურისტული და სპორტული მნიშვნელობის აქტივობებში და მიაღებინოს კომერციული სარგებელი სპორტის ამ მიმართულებით
8. საქართველოს ტერიტორიაზე მიიღოს მონაწილეობა კანონმდებლობით დაშვებული ყველა სხვა აქტივობებში

„კლუბი - იქს-კაუკასუსი“ თავისი მიზნების განსახორციელებლად ეწევა შემდეგ საქმიანობას:

1. ამყარებს კავშირებს ანალოგიური პროფილის ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან, კლუბებთან, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ
1. სწავლობს პარაგლაიდინგის პილოტთა პოტენციურ შესაძლებლობებს და ქმნის ინფორმაციის მონაცემთა ბაზას
2. აწყობს შეხვედრებს, კონფერენციებს, დისკუსიებს, სემინარებს, კონკურსებს, შეჯიბრებებს, გამოფენებს სხვადასხვა აქტუალურ თუ პრობლემატურ საკითხებზე
3. მონაწილეობს სპორტული და ტურისტული კუთხით სხვადასხვა კატალოგების თუ ელექტრონული საიტების შექმნაში

4. ზრუნავს კლუბი - იქს-კაუკასუსი წევრთა სხვადასხვა გადასამზადებელი კურსებზე წარგზავნაზე, ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას;
5. ეწევა საგამომცემლო, საკონსულტაციო, სარეკომენდაციო, საგამოფენო, მთარგმნელობით თუ სარეკლამო საქმიანობებს; აფუძნებს პრესას, ვებ-გვერდებს და მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებს (ელექტრონული, საგამომცემლო თუ სატელევიზიო გადაცემები) კანონით დადგენილი წესით
6. გამოყოფს მიზნობრივი დანიშნულების ჰონორარებს თუ ერთჯერად პრემიებს ამ სფეროში ნაყოფიერად მოღვაწე წევრებსა თუ სხვა პირებზე
7. ეწევა დამხმარე ხასათის სამეწამეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის კლუბის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს და მისი შემოსავალი ხმარდება მხოლოდ და მხოლოდ აკლუბის მიზნების განხორციელებას.
8. ეწევა სხვა სახის საქმიანობას კლუბის მიზნების განსახორციელებლად საქართველოს მოქმედი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად